№ 87

სამშაბათი, 27 აპრილი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 87

სამშაბათი, 27 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 29 აპრილს.

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ღირება **7** მან. **25** კაპ.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო ბ-ნის გუბერნატორისაგან ნებართვა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ.

სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს. ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას, შემოწირულება უნდა გამოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ნიკოლოოზის ქუჩა, **№ 21.**

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, წესდების მე-91 §-ის ძალით, ამით აუწყებს ბანკის რწმუნებულთ, რომ ამა 1899 წლის 30 მაისისათვის დანიშნულია საზოგადო მორიგი კრება. კრება მოხდება დილის 10 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში.

**განსახილველია შემდეგი საგნები:**

1. ბანკის 1898 სამოქმედო წლის ანგარიში.
2. ბანკის 1899 წლის ხარჯთაღრიცხვა.
3. საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილება.
4. მოხსენება სასოფლო-სამეურნეო თანხის შესახებ.
5. მოხსენება იმ ერთ-დროებითად შემოტანილ ფულის შესახებ, რომელიც ერთმევათ სესხის გატანის მსურველთ დაფასებისა და გირავნობის ფურცლების მომზადების ხარჯად.
6. მოხსენება ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო და დამხმარებელ კასის წესდების შესახებ.
7. შემწეობის აღმოჩენა სხვა-და-სხვა დაწესებულებისა; საზოგადოებათა და კერძო კაცებისათვის.
8. არჩევანები: გამგეობის ორის წევრისა: უგანათ. თავ. მიხეილ ალექსანდრის ძის გრუზინსკისა და ქრისტეფორე იოსების ძის მამაცაშვილის ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ, და მათის კანდიდატებისა, დამფასებელ კომისიის ორის წევრისა: თავ. ლევან ლევანის ძის ჩერქეზიშვილისა და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის თუმანიშვილის ნაცვლად, რომელთაც აგრეთვე ვადა უთავდებათ, და მათის კანდიდატებისა. კრება კანონიერი იქმნება, რამდენი წარმომადგენელიც უნდა დაესწროს (წესდების მე-91 §-ის შენიშვნა). (3—6.—1)

## „შუამავალი“

ამხანაგობის მაღაზია გადაცის თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის სკვერის წინ. (10—6.—2)

**წიგნის გამომცემელ ამხანაგობის** საზოგადო კრება დანიშნულია 9 **მაისს** ამა 1899 წლისას, შუადღის 12 საათზედ, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში 1897 და 1898 წლისა.
2) არჩევანი მმართველობის წევრებისა.
3) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა.
4) მიმდინარე საქმეები.
5) განაწილება დივიდენდისა.

ამხანაგობის მმართველი
(3—6.—2) მ. ბადრიძე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1 — $1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი $6\frac{1}{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, კვირაცხოვლობა დღეს, აისორთა ეკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. ეკლესიის დღესასწაულისა გამო დილიდგან დაწყობილი საღამომდის აუარებელი ხალხით იყო დაფენილი მთელი არსენალის გორა, სადაც სხვა და სხვა გასართობი იყო გამართული. მშვენიერმა დარმა ხელი შეუწყო ხალხის მხიარულებას და დღეობა მშვიდოგიანად დასრულდა.

*** 30 მაისს, დილის 10 საათზედ, ტფილისში მოხდება პირველი მორიგი კრება ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა. ამ კრებაზე, სხვათა შორის, განხილულ იქმნება საგანი ბანკში მოსამსახურეთათვის დამხმარებელ-საპენსიო კასსის დაარსების შესახებ. ამ კრებაზედვე მოხდება არჩევანები გამგეობის ორის წევრის უგან. თავ. მ. ა. გრუზინსკისა და ქ. ი. მამაცაშვილის ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ. დამფასებელ კომისიის ორის წევრისაც — თავ. ლ. ლ. ჩერქეზიშვილისა და თავ. ნ. ა. თუმანიშვილის ნაცვლად, რომელთაც აგრეთვე უთავდებათ ვადა სამსახურისა.

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა ბ. გ. ევანგულოვმა, საქართველოს ექსარხოსის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანეს თხოვნით, წერილები გაუგზავნა ტფილისის შემძლებელ მცხოვრებთ და სთხოვა, შეძლების და კვალობაზედ, მონაწილეობა მიიღონ მცხეთის უძველეს ტაძრის განახლებაში. თავისს წერილებთან ერთად ქალაქის

## ფელეტონი

### შეუღლება ანუ კავშირი მამაკაცთა და დედა-კაცთა შორის.

I

მამა-კაცისა და დედა-კაცის შეუღლება ანუ კავშირი წარმოსდგა იმ ბუნებრივის მისწრაფებისაგან, რომელსაც ერთი სქესი მეორე სქესის წარმომადგენლის მიმართ ჰგრძნობს. ეს სქესური მისწრაფება საერთოა როგორც ადამიანისა, ისე ყველა სულიერ არსებისათვის. ამ ბუნებრივის გრძნობით გატაცებული სულიერი არსება მიესწრაფვის მოსძებნოს და დაუკავშირდეს თავის გვარსავე მეორე სქესის არსებას.

ზოგიერთ არსებათა შორის კავშირი თავდება მაშინვე, როგორც-კი სქესური გრძნობა დაკმაყოფილებული იქმნება მათ შორის; არიან იმ გვარი სულიერი არსებანიც, რომელთა შორის შეუღლება ანუ კავშირი ორ სქესის წარმომადგენელთა შორის უფრო ხანგრძლივია და ზოგჯერ სამუდამოც.

იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირი სწყდება სქესურის გრძნობის დაკმაყოფილებისათანავე, შვილების გამოკვება და აღზრდა მხოლოდ დედის საზრუნველია, მამა-კი არავითარს მონაწილეობას არ იღებს. ხოლო იმ არსებათა შორის, რომლებიც ხანგრძლივად შეუღლდებიან, შვილების ზრუნვაში მამაც იღებს მონაწილეობას და შველის დედას. დედ მამის საერთო ზრუნვას შვილებისათვის დიდი გავლენა აქვს მათ გამრავლებაზედ: ამგვარის წარმომადგენლები უფრო მრავლდებიან და რიცხვით სჯობნიან იმათ, რომლებიც მხოლოდ დედის ამაგით იზრდებიან.

მხოლოდ მაშინ არა აქვს დიდი მნიშვნელობა და არც არის საჭირო მამის ზრუნვა შვილებისათვის, როდესაც რომელისამე სულიერ არსების გვარში დიდი ნაყოფიერებაა შვილებისა. ყოველ ქვირითიდგან რომ თევზი გაჩნდეს, მაშინ ერთი წყვილის თევზისაგან იმდენი თევზი გაჩნდებოდა, რომ ზღვაც ვერ დატევდა. ამიტომ ბუნებამ საჭიროდ არა სცნო ყველა სულიერ არსებათა დაჯილდოვება ხანგრძლივის სქესურის კავშირით.

მაშასადამე, აღზრდასა და შვილებისათვის ზრუნვას დიდი გავლენა ჰქონია ორ სქესის წარმომადგენელთა კავშირის ხანგრძლივობაზედ. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს ზოგიერთ ველურ ხალხის ცხოვრებიდგან: არიან ველური ხალხნი, რომლებსაც ნამდვილი ცოლ-ქმრობა მხოლოდ მაშინ ეწყებათ, როდესაც შვილი გაუჩნდებათ: შავაპაების ქალები გათხოვების შემდეგ ისევ დედ-მამის სახლში რჩებიან, ქმარი-კი მაშინ წაიყვანს ცოლს თავისს სახლში, როდესაც შვილი შეეძინება. კალიფორნიის ტომის უინტონის ქალებს ადათის ძალით შვილის მოკვლის ნება აქვთ, თუ რომ ქმრებმა თავი დაანებეს, რადგან ქმრის ზრუნვა და შვილების გამოზრდის საშუალება აკლდებათ.

უმაღლესად განვითარებულ ფორმას ორ სქესის წარმომადგენელთა შეუღლებისა ანუ კავშირისას ადამიანთა შორის ვხედავთ, რადგან ყველა სულიერ არსებათა შორის ადამიანს უჭირავს განსაკუთრებული ადგილი თავისის ფრიად განვითარებულის სულიერ და გონებრივ აგებულებით, თუმცა, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, არიან მრავლად იმგვარი დაბალი სულიერი არსებანიც, რომელთ შორისაც შეუღლება ხანგრძლივია და ხან-კი, როგორც, მაგალითად, მტრედთა შორის, მუდმივია.

რაგვარი იყო ცოლქმრობა წინად, ადამიანის აღორძინების პირველ ხანებში? დასაწყისში კავშირი მამა-კაცისა და დედა-კაცისა მუდმივ შემთხვევითი იყო. მამაკაცი დღეს ერთთან სცხოვრებდა, ხვალ-მეორესთან, ერთის სიტყვით, იმასთან, ვინც-კი მოხვდებოდა. ჯონ-ლებბოკისა, მარგონისა და სხვების გამოკვლევებიდგან სჩანს, რომ ამ გვარი უწეს-რიგო ცოლქმრობა ჰსუფევდა მამაკაცთა და დედაკაცთა შორის პირველ-დასაწყისს.

ამ გვარ ცოლ-ქმრობას ჯონ-ლებბოკმა სახელად „გეტერიზმი“ უწოდა: ცოლები შეადგენდნენ საზოგადო კუთვნილებას; ამიტომ შვილების შენახვა დედის მოვალეობათ იყო, მამა-კი ძალიან მცირე მონაწილეობას იღებდა შვილების აღზრდაში და უფრო ხშირად სრულიად განთავისუფლებულიც იყო ამ მოვალეობისაგან.

მაშინდელ დროში დედა-კაცნი ცალკე საზოგადოებას შეადგენენ, ჰპფლობელობდნენ მიწა-წყალსა და თავიანთ საქმეს თვითვე განაგებდნენო.

ამ აზრს მეცნიერებაში ყველანი არ ეთანხმებიან: დარვინის აზრით, მამაკაცნი პირველ-დასაწყისს სცხოვრობდნენ პატარ-პატარა ცალკე ჯგუფებად; ყოველს მამაკაცს ან ერთი, ან რამდენიმე ცოლი ჰყავდა, ეს რაოდენობა დამოკიდებული იყო იმისს ვაჟკაცობასა და ძალ-ღონეზედ; ამასთან მუდამ იმას სცდილობდა, რომ თავისი ცოლი სხვა მამაკაცისთვის არ დაენებებინა, რადგან ცოლი, იმის აზრით, მის კუთვნილებას შეადგენდა. ამის დასამტკიცებლად დარვინს მოჰყავს მაგალითები ველურ ხალხთა და ზოგიერთის ჯიშის მაიმუნთა ცხოვრებიდგან, რაც ცხად ჰყოფს, რომ მათ შორისაც ძლიერ ხშირია ერთ-ცოლობა ანუ მონოგამია და სამუდამოდ შეუღლება ორ სქესის წარმომადგენელთა შორის.

კაუსტსკი ამტკიცებს, რომ ადამიანის ცხოვრების დასაწყისშიაც ერთცოლობა ანუ მონოგამია ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ იმ გვარი-კი, რომელიც ძლიერ ადვილად ირღვევოდა. მამაკაცი სტოვებდა დედაკაცს—მეუღლეს, მოჰბეზრდებოდა თუ არა, და შემდეგ სხვის ძებნას შეუდგებოდა ხოლმე. ამ აზრის დასამტკიცებელ მაგალითს მეცნიერი კაუტსკი ასახელებს ველურ ხალხს „ვედდა“-ს, რომელიც, ანთროპოლოგების აზრით, ყველა აწმყო ველურ ხალხთან შედარებით უველურესად უნდა ჩაითვალოს: ეს ხალხი გამოქვაბულ კლდეებსა და ტყე-ღრეში სცხოვრობს; სახლების აშენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურავმა დაარიგა მოწოდება უმაღლესის ნებართვით ამ საქმისათვის მთელს რუსეთში შემოწირულობის შესაგროვებლად შემდგარ კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს ექსარხოსის არქიეპისკოპოსის ფლაბიანესი.

*** როგორც გვატყობინებენ, კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის მეუღლე და ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი გუშინ, 26 აპრილს, დილის 7 საათზე, წამოსულან კავკავიდგან ტფილისს.

*** ოთხშაბათს, 28 აპრილს, უნდა შეიკრიბნენ ქალაქის გამგეობა და ქალაქის საბჭოს ექიმ ხმოსანთაგან მიერ შემდგარი კამისია იმის გარდასაწყვეტად, რომ შეიძინოს თუ არა ქალაქმა ბუქყიაშვილის სახლი, რომელშიაც ქალაქის საავადმყოფო უნდა მოთავსდეს.

*** 25 აპრილს აკურთხეს ქალაქის მეორე უფასო სამკურნალო. ეს სამკურნალო, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, იმყოფება კუკიაში ალექსანდრეს და კათოლიკეთა ქუჩების კუთხეში, მელქუმოვის სახლებში. კურთხევას დაესწრნენ: ქალაქის ექიმი ბ-ნი მრევლიშვილი, ქალაქის მოურავი, გამგეობის ზოგიერთი წევრი, საბჭოს ექიმები და სხვანი.

*** კვირას, 25 აპრილს, მოხდა ტფილისის საკომერციო ბანკის აქციონერთა კრება. კრებამ დაამტკიცა ბანკის 1898 წლის მოქმედების ანგარიში და აგრეთვე ამა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. დასასრულ მოხდა არჩევანები საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

*** „ახალ მიმოხილვის“ სიტყვით, ნუხის ქალაქის მმართველობას დაუდგენია ტფილისში დასაარსებლათ განზრახულ საკომერციო სასწავლებელს წელიწადში 50 მან. დახმარება გაუწიოს ხოლმე.

*** გაზეთ „კავკაზის“ სიტყვით, ბაქო-დარუბანდის რკინის გზის გაკეთება ენკენისთვემდის არ დასრულდებაო.

*** როგორც გაზეთი „კასპი“ იუწყება, ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებას განუზრახავსააგოს ქალთათვის „შრომის სახლიო“, ვინაიდგან ბევრი დედაკაცი სამუშაოს ვერა შოულობს და იძულებულია სამარცხვინო ხელობით ირჩინოს თავიო. ამ სახლში მუშაობის მსურველნი ქალნი შესაფერ ხელ-საქმეს ყოველთვის იშოვნიანო.

*** 22 აპრილს, სადგურ ბელაგორის მიდამოებში საშინელი სეტყვა და წვიმა მოსულა, რასაც ძრიელ დაუზარალებია ყანები. თვით სადგური კინაღამ არ წაულეკავს. რკინის გზის მიმოსვლა 4 საათით შეჩერებულა. („ცნ. ფურ.“)

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, სასანიტარო-სამკურნალო საბჭო შესდგომია ტფილისში არსებულ ქარხნებისათვის სავალდებულო სასანიტარო დადგენილებათა შემუშავებას.

*** ქ. ახალქალაქიდგან ატყობინებენ გაზეთ „მშაკს“, რომ სოფელ სულდაში საქონლის ჭირი გაჩენილა.

*** ადგილობრივის რუსულის გაზეთების სიტყვით ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი ე. ბ. კასილიევი გარშავის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლად გადაჰყავთ.

*** ცხინვალი. აპრილის 22-ს ქართულ სცენის მოყვარეთაგან გამართული იქმნა აქ წარმოდგენა ს. ტირძნისის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. ითამაშეს „ბაიყუში“ და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა; ყველამ თავისი როლი რიგიანად შეასრულა. ხალხიც საკმაოდ დაესწრო და შემოსავალიც ბლომად დარჩა.

*** სოფ. კახი. 18 აპრილს, ღამით, ვიღაც ბოროტ-მოქმედმა შერჩეულის გასაღებით გააღო აქაური ეკკლესიის კარები და შიგ თუმნამდის ფული მოიპარა. ეჭვი სიღნაღელ ერთ ახალგაზრდაზე მიიტანეს, რომელსაც წინათაც ედებოდა ბრალი მღვდლის გაძარცვისა. გამოძიება სწარმოებს.

*** იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობაზე დაარსებულ ბრმათა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 9 აპრილს ბრმათათვის სასწავლებლის საძირკველის ჩაყრის დროს ამ შენობის ასაგებად სხვა-და-სხვა პატივცემულ პირთ შემოსწირეს 2,595 მანეთი. შემომწირველები არიან: თავადი ი. გ. ამილახვარი, ა. ს. ანანოვი, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. ნ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ი. ვ. დრბოგლავი, გ. გ. ევანგულოვი, ნ. ა. კარპოვი, ნ. კორდიუკოვი, ი. ი. მალინინი, თავ. პ. ა. მამაცოვი, ა. ი. მანთაშოვი, ფ. ი. მაკარსკი, ს. ფ. ნოვომეისკი, ლ. ლ. პერშკე, ნ. ს. ფრიდონოვი, გ. ი. პესჩანსკი, ა. ა. სალკოვისა, თავ. ვ. მ. თარხანოვი, ვ. მ. თამამშევი, პ. გ. ტარანოვსკი და კ. ნ. შულგინი. ამ 2595 მანეთიდგან 2,000 მ. შეუწირავს ა. ი. მანთაშევს, 200 მ. ა. ს. ანანოვს და 100 მ.—ნ. ს. ფრიდონოვს. გარდა ამისა, მ. ო. არამიანცს, რომელიც საძირკველის ჩაყრას ვერ დასწრებია, ბრმათა სამზრუნველოს საბჭოსათვის გამოუგზავნია ასი თუმანი.

საბჭო გულწრფელ მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველებს.

## წერილი ქუთაისიდგან.

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა უკვე იწვევს წარმომადგენელთა კრებას ბანკის საქმეთა განსახილველად—მაისის თვის 31-სათვის. ამ ბანკის წევრთა საზოგადო კრება 1893 წელს უწესოებით დასრულდა და მას შემდეგ წარმომადგენელთა კრების შემოღების ლოდინში ვიყავით. როგორც იქმნა, ამ დღესაც მოვესწარით... იმედი გვქონდა, რომ ზედამხედველი კომიტეტი სხვა განსახილველ საგანთა შორის რევიზორის ანგარიშსაც მოიხსენიებდა, მაგრამ ეგ იმედი ტყუილი გამოდგა. სჩანს, ზედამხედველ კომიტეტს საჭიროდ არ დაუნახავს ეს ანგარიში კრებას მოახსენოს,—რა მიზეზით-კი—ძნელი მისახვედრი არ არის. ყოვლად შეუძლებელია, დავიწყებით მოსვლოდეს, თუმცა დიდი გულ მავიწყი და დაუდევარი ბრძანდება. ალბად, სხვა რამ მიზეზია. თუ არ გულ-მავიწყობა და დაუდევრობა, სხვა მიზეზი უნდა ვეძიოთ. იქნება ბანკის მეთაურთ აზრად აქვთ ამ გზით თავიანთი ცოდვა-დანაშაული გადააფუჩეჩონ, როგორც ჩვენში ამბობენ. თუ იმასა ჰფიქრობენ,—იქნება დროზედ ვერ შეგვიტყონ და ამრიგად პირში ჩალას გამოვავლებთო, შემცდარნი ბრძანდებიან. რამდენი ხანია კრებას ველოდებით, რამდენი წელიწადია საზოგადოებაში განხეთქილება ტრიალებს ბანკის საქმეთა შესახებ და რევიზორის ანგარიში ყველას ენაზედ გვაკერია, ბანკის მმართველნი კი ასე მალულობით გვექცევიან. არა, ბატონებო! თუ თავი თქვენი თქვენ გახლავთ, „დამალული გაამჟღავნეთ“ და ისე წარსდექით საზოგადოების წინაშე, თორემ, ხომ მოგეხსენებათ, რომ ბანკის წესდება საშუალებას გვაძლევს ბ-ნ რევიზორის ანგარიშიც წარვგადგენინოთ წარმომადგენელთა კრების წინაშე.

X.

## მეაბრეშუმეთა საზოგადოების წლიური კრება სოფ. კუხში.

21 აპრილი

ოთხშაბათს, 21 აპრილს, სოფელს კუხში მოხდა მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის წლიური კრება. კრებას ძლივს დაესწრო საჭირო წევრთა რიცხვი (304). თავმჯდომარედ არჩეული იქმნა ს. ლ. ბახტაძე და მდივნად ა. თ. მაჭარაძე; რადგანაც კრებას, სხვათა შორის, უნდა განეხილა ახალი წესდება, თავმჯდომარემ განუმარტა წევრებს, რომ ამ საგნის შესახებ დღევანდელი კრება ვერ იქონიებს მსჯელობას, რადგან, ძველის წესდების ძალით, წესდების შესახებ შეიძლება სჯა და ბაასი მხოლოდ მაშინ, როცა კრებას დაესწრება არა ნაკლებ $^{2}/_{3}$ ყველა წევრთა რაოდენობისა, ე. ი. 1,008 წევრი და სულ 1506 წევრი. დღევანდელს კრებაზედ-კი 308 წევრი ძლივს იქნებაო. ამ აზრს დაეთანხმნენ სხვა წევრებიც.

მმართველმა ბ. წერეთელმა უპასუხა თავმჯდომარეს, რომ ძველ წესდებაზედ (ნოტარიუსის შემწეობით შემდგარი პირობაა) უწერია ხელი მხოლოდ 30 კაცს და, მაშასადამე, საჭიროა მარტო 20 კაცის თანდასწრება და აქ-კი 300 კაცია და არავითარ დაბრკოლებას აქ ალაგი არა აქვს და შეიძლება დღევანდელმა კრებამ თავისუფლად იქონიოს წესდების შესახებ სჯაო.

იოსებ ქუთათელაძე. ბ-ნი მმართველი შემცდარია. შეიძლება ძველს პირობაზედ ხელი მოწერილი ჰქონდეს მარტო 30 კაცს და დანარჩენს 1470 წევრს-კი არა, მაგრამ არსად და არასოდეს არ მომხდარა, რომ რომელიმე საზოგადოების ან ამხანაგობის წესდება დამტკიცებული იყოს ისე, რომ რამდენსამე კაცის მეტს ჰქონოდეს ხელი მოწერილი, მაგრამ ეს წესდება დანარჩენის წევრებისათვისაც სავალდებულოა ისე, როგორც დამფუძნებლებისათვის; თუ გაიხსენებს ბ-ნი მმართველი, ძველ პირობაშიც ეგრეა ნაჩვენები, რომ იგი სავალდებულოა ყველა წევრისათვის. რამდენადაც მახსოვს, შარშანდელმა კრებამ უკვე გადასწყვიტა ახალი წესდება შეემუშავებინა სარევიზო კომისიას მმართველის დახმარებით და უნდა გაეგზავნა კიდეც და არ მესმის რისთვის შემოუტანიათ დღევანდელ კრების პროგრამაში ეგ საგანი. არსად არ მომხდარა, რომ საზოგადო კრებას, რომელიც შესდგება რამდენიმე ასი წევრისაგან, შეედგინოს და განეხილოს მთელი წესდება, რომელშიაც თითქმის ასი მუხლია. ამისათვის საჭირო კომისია, როგორც უკვე იყო ამორჩეული შარშან და რომელმაც მოახსენა შარშანდელ კრებას მხოლოდ რამდენიმე უმთავრესი მუხლი, კრებამ, რამდენადაც მახსოვს შიილო წესდება და დაადგინა მთავრო-

---

სრულიად არა აქვს ჩვეულებათ; არც თვლა და არა აქვს თიხის ჭურჭელი სახმარებლად, ერთის სიტყვით, არაფრით განირჩევა მაიმუნებისაგან. ამისდა მიუხედავად მათში ჩვეულებრივი ცოლ-ქმრობა მონოგამიაა; ცოლებს ძლიერ ტკბილად ეკიდებიან ქრმები; ამათ ანდაზაც აქვთ თურმე ცოლ-ქმრობის შესახებ; ცოლსა და ქმარს მხოლოდ სიკვდილი დააშორებსო.

პეშელი მოგვითხრობს, რომ ბუშმენები, რომლებიც ძლიერ დაბლა სდგანან თვისის სულიერ და გონებრივ განვითარებით, ცოლებს მოწონებით ირთავენ; თუმცა ცოლ-ქმართა გაყრა ადვილია, მაგრამ ვიდრე ერთათ არიან, შეგვიძლიან იმათს შეუღლებას მონოგამია ვუწოდოთო.

უძველესს დროში, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ სულიერად ძლიერ დაბლა იდგა, მამაკაცთა და დედაკაცთა შეუღლება ძალ-მომრეობითა და მოტაცებით ხდებოდა: მამა-კაცი, როგორც უფრო მძლავრის აგებულობისა, იტაცებდა დედაკაცს და იხდიდა ცოლად, თუმცა მოწონებასა და საზოგადოდ მიმზიდველობას მაშინაც ჰქონდა ადგილი. უფრო მამაცს და გულადს მამა-კაცს, რასაკვირველია, საუკეთესო ცოლი ერგებოდა ხოლმე და თუ სურვილი ჰქონდა, შეეძლო რამდენიმეც ეშოვნა. ცოლების ძალით მოტაცება ეხლაც არის დარჩენილი მრავალ ველურ ხალხთა შორის: მაგალითად, ბრაზილიის ველურ ხალხის ვაჟები ამხედრდებიან და დაეცემიან მეორე რომელსამე სოფელს დედაკაცების მოსატაცებლად. რომაელების ძველ ისტორიაში არის ერთი ისტორიული გარდმოცემა, რომელიც მოგვითხრობს, რომაელებმა როგორ მოიტაცეს ერთს დღეობაზედ საბინელების ქალები და ცოლებად გაიხადეს.

პლუტარხი ამბობს, რომ თუმცა სპარტანელთა შორის ცოლ-ქმრობა ურთი-ერთ თანხმობით ხდება, მაგრამ მამაკაცი, როდესაც საცოლო შინ მიჰყავს, ისე იქცევა, ვითომ ქალს იტაცებსო. რასაკვირველია, ამ გვარი ჩვეულება იმის მაჩვენებელია, რომ ძველად სპარტანელთა შორისაც ცოლ-ქრმობა მოტაცებით ყოფილა.

დიდი ხანი არ არისო, ამბობს ტაილორი, მას აქეთ, რაც ინგლისში ჩვეულებად ჰქონდათ, რომ, როდესაც პატარძალი მიჰყავდათ შინ, მაყრები შეიარაღებულნი თან თოფის სროლით მისდევდნენ მამაკაცსაო.

ჩვენში ეხლაც არის ჩვეულებად დარჩენილი, რომ როდესაც ნეფე და პატარძალი ჯვრის-წერის შემდეგ სახლში მიჰყავთ, მაყრები ასტეხენ ხოლმე თოფის სროლას და დიდს კიჟინასა და ხმაურობას. ამგვარი ჩვეულება, როგორც ზემოდ შევნიშნეთ, იმისი მაჩვენებელია, რომ უძველესს დროში შეუღლება მამაკაცისა და დედაკაცისა ძალ-მომრეობაზედ ყოფილა დაფუძნებული. შემდეგ-კი როდესაც ადამიანის ზნე-ჩვეულება განკარგდა, მოტაცებამ ადგილი დაუთმო ქალ-ვაჟთა ანუ მათ დედ-მამათა შორის მორიგებასა და შეთანხმებას. კერძო ქონების განვითარებისთანავე ვაჟი იწყებს ვაჭრობას საცოლოს დედ-მამასთან. ზულუსი საცოლოში აძლევს რამდენსამე ხარს.. ერევნის გუბერნიის თათართა შორისაც საცოლოს დედ-მამას ვაჟმა უსათუოდ ფული უნდა მისცეს, რომლის რაოდენობა მის ქონებაზედ არის დამოკიდებული.

ბოლოს ის ფული, რომელსაც ვაჟი ქალის დედ-მამას აძლევდა, თან-და თან გარდაიქცა ქალის მზითევად; ამ გვარი ცვლილება, ტაილორის აზრით, იმიტომ მოხდა, რომ საჭირო შეიქმნა ცოლის უზრუნველ ყოფა, რადგან ქვრივის შერთვა მაზლს ეხლა ჩვეულებით აღეკრძალა.

უმეტესი ნაწილი ჩვენის დროის კაცობრიობისა დღეს ცოლს მოწონებით, ან სიყვარულით ირთავს და მონოგამიას მისდევს, თუმცა-კი არიან იმ გვარი ხალხნიც, რომელთა შორის მრავალ-ცოლობაა და, უფრო იშვიათად, მრავალ-ქმრობაა—პოლიანდრია.

II

დასაწყისშივე ვთქვით, რომ შეუღლება ანუ კავშირი ორ სქესის წარმომადგენელთა შორის საყოველთაოა ყველა სულიერ არსებასათვის, ხოლო უმეტესს ნაწილად ეს კავშირი სქესურის დაკმაყოფილებისათანავე ისპობა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ იმ გვარნი არსებანიც არიან, რომელთა კავშირი იმ დრომდის გასტანს ხოლმე, ვიდრე შვილებს არ გამოჰზრდიან. ამ გვარი კავშირი ძლიერ ხშირია ფრინველთა შორის. მამალი ფრინველი ჰშველის დედალს ბუდის გაკეთებას; როდესაც დედალი კვერცხებზედა ჰზის, მამალი იქვეა ახლო და, თუ საჭიროება მოითხოვს, თავ-განწირვით იცავს დედალს; შემდეგ-კი, როდესაც შვილები გაუჩნდებათ, ორივენი მხურვალე მონაწილეობას იღებენ იმათ გამოზრდისა და გამოკვების საქმეში.

მაიმუნთა შორის შეუღლება მეტად მტკიცე კავშირს წარმოადგენს. ერთის მეუღლის სიკვდილის შემდეგ მეორე ისე ჰნაღვლობს ხოლმე, რომ ხშირად მწუხარებას თავს ანაცვალებს, ორანგუტანგები და შიმპანზეები მონოგამისტები—ერთ-ცოლიანები არიან.

სქესურ მისწრაფებისა და შეუღლების განხილვის დროს ერის ფრიად საინტერესო საყოველთაო ბუნებრივი მოვლენა იქცევს უნებლიედ ჩვენს ყურადღებას: ამ სქესურ მისწრაფების დაკმაყოფილებაში უმთავრესი მომქმედი ყოველთვის მამრობითის სქესის წარმომადგენელია; იგი ეძებს და მიისწრაფვის მეორისკენ. იმ დაბალ არსებათ შორისაც-კი, რომლებიც თითქმის უძრავნი არიან და ერთს ადგილას არიან მიკრულნი, მამრობითის სქესის ელემენტი იძვრის დედრობითისკენ. მეცნიერ ვესტერმარკის აზრით, ეს მოვლენა იმითი უნდა აიხსნას, რომ ის, რომელიც ეძებს, უფრო მეტს განსაცდელსა და გაჭირვებაშია, ვიდრე ის, რომელსაც ეძებენ; რადგან დედის სიკვდილი შვილების გაჩენის დროს უფრო საბრალოა შთამომავლობისათვის, ვიდრე მამისა, ამიტომ ბუნებამ მამრობითის სქესის წარმომადგენელთ მიანიჭა უფრო მძლავრი სქესური მოძრაობა და მოძებნის სურვილიც.

მამლებს შორის მუდმივი ბრძოლაა, დედლების შოვნისა გამო. ამ განუწყვეტელ ბრძოლის გამო მამლე-

ბის წინაშე დასამტკიცებლად წარდგენა. ეხლა თუ კრებას ჰსურს კიდევ დაუმატოს ორი ან სამი კაცი სარევიზიო კომისიას, რადგანაც მან აქამდე ვერ შესძლო აღესრულებინა ეს მინდობილება და დაავალეთ ამ ახალ კომისიას ორის კვირის განმავლობაში კიდევ განიხილოს ეგ ახალი წესდება და გაგზავნოს დასამტკიცებლად.

ცოტა სჯისა და ბაასის შემდეგ კრებამ დაადგინა მიენდოს ისევ ძველ კომისიას, რომ მიიწვიოს კიდევ რამდენიმე წევრი და რაც შეიძლება მალე გაიგზავნოს წესდება დასამტკიცებლად.

მმართველმა წაიკითხა შემდეგი წლიური ანგარიში.

1 მარტისათვის 1898 წლისა იყო:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| წილის ფული . . . . . . | 19011 | 37 |
| სათადარიგო თანხა . . . . | 782 | „ |
| ძირის თანხა . . . . . . | 782 | „ |
| გადასატანი ფული . . . | 671 | 60 |
| წმინდა მოგება . . . . . | 5608 | 87 |
| ჯამი . . . . . | 26856 | 04 |
| ნაღდ ფულად . . . . . . | 11190 | 39 |
| კერძო კაცებზეა . . . . . | 1156 | 69 |
| გასესხებულია . . . . . . | 45 | „ |
| ძაფად . . . . . . . . | 726 | 80 |
| პარკად . . . . . . . . | 35 | „ |
| ქსოვილებად . . . . . | 1818 | 29 |
| უძრავ-მოძრავ ქონებად . . | 11883 | 87 |
| ჯამი . . . . . | 26856 | 04 |

1898 წლის განმავლობაში.

| შემოვიდა: | მ. | კ. |
|---|---|---|
| წილის ანგარიშისაგან . . . | 797 | „ |
| პარკისა . . . . . . . . | 58319 | 80 |
| თესლისა . . . . . . . . | 10578 | 34 |
| სესხისა . . . . . . . . | 70775 | 03 |
| კერძო კაცთაგან . . . . . | 15193 | 16 |
| ქსოვილისა . . . . . . | 2067 | 80 |
| ძაფისა „ . . . . . . . . | 4031 | 42 |
| ამოსაღები ქარხ. . . . . . | 3471 | 81 |
| საფეიქრო . . . . . . . | 3857 | 43 |
| სათადარიგო თანხ. . . . . | 560 | „ |
| ძირისა . . . . . . . . | 560 | „ |
| გადასატანი. . . . . . . | 2311 | 95 |
| ქონებისა . . . . . . . | 1297 | 25 |
| სადურგლე . . . . . . . | 289 | 37 |
| სხვა-და-სხვა . . . . . . | 117 | 69 |
| ჯამი . . . . . | 174228 | 05 |

| გავიდა: | მ. | კ. |
|---|---|---|
| წილის ფულის ანგარიშით . | 25 | 98 |
| პარკისა . . . . . . . . | 48159 | 98 |
| თესლისა . . . . . . . . | 9791 | 04 |
| სესხისა . . . . . . . . | 70300 | 48 |
| კერძო კაცთ . . . . . . | 16593 | 27 |
| ქსოვილისა . . . . . . | 3859 | 28 |
| ძაფისა . . . . . . . . | 4092 | 56 |
| ამოსაღები ქარხ. . . . . . | 3471 | 81 |
| საფეიქრო . . . . . . . | 6429 | 83 |
| გადასატანი თანხ. . . . . | 1552 | „ |
| ქონებისა . . . . . . . | 1959 | 26 |
| სამმართველო ხარჯისა . . | 4543 | 68 |
| სადურგლე . . . . . . . | 289 | 37 |
| სარგებლისა . . . . . . | 3296 | 33 |
| დივიდენდისა . . . . . . | 3145 | „ |
| ალებ-მიცემობისა . . . . | 1336 | „ |
| სხვა-და-სხვა . . . . . . | 24 | 60 |
| სულ . . . . . | 179170 | 47 |

1899 წლის 1 მარტისათვის არის:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| წილის ფული . . . . . . | 19782 | 59 |
| სათადარიგო თანხა . . . . | 1342 | „ |
| ძირის თანხა . . . . . . | 1342 | „ |
| გადასატანი ფული . . . . | 1431 | 55 |
| სესხი . . . . . . . . | 429 | 55 |
| წმინდა მოგება . . . . . | 4190 | 97 |
| სულ . . . . . | 28518 | 66 |
| ნაღდ ფულად . . . . . . | 6247 | 97 |
| კერძო კაცებზედ . . . . . | 2556 | 80 |
| საქსოვ ქარხანაზედ ძაფი დ სხ. მას. | 2572 | 40 |
| ძაფად . . . . . . . . | 787 | 94 |
| ქსოვილებად . . . . . . | 3739 | 92 |
| პარკად . . . . . . . . | 67 | 75 |
| უძრავ-მოძრავ ქონებად . . | 12545 | 88 |
| ჯამი . . . . . | 28518 | 66 |

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ბ. პ. ი. ჩხიკვიშვილმა მოახსენა კრებას, რომ მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის სარევიზიო კომისიას ჰქონდა რამდენიმე სხდომა ამხანაგობის 1898 წლის საქმეების განსახილველად. კომისიამ განიხილა ამხანაგობის ანგარიშის წიგნების შესამოწმებლად წარსულის წლის წარმოების საქმე და დაინახა შემდეგი: 1) 1898 წლის ანგარიში, წარმოდგენილი მმართველისაგან, ანგარიშის წიგნებს ეთანხმება; წიგნები კარგა არის ნაწარმოები საზოგადოდ. ის ცვლილება არის მხოლოდ, რომ ორდერებია შემოღებული (მხოლოდ რამდენსამე ორდერზედ ხელი არ არის მოწერილი მიმღებისაგან წერის უცოდინარობის გამო), 2) საანგარიშო წელი ამხანაგობის წარმოებისა ძლიერ ძნელი იყო ამხანაგობის არსებობისათვის: პარკი ძვირად იყიდეს, აქ მოსული მყიდველები-კი იძლეოდნენ მცირე ფასს და ეს-კი არ დაჰფარავდა ამხანაგობის საჭიროებას. ამ უკიდურეს მდგომარეობიდგან გამოიხსნა ამხანაგობა პარკის საზღვარ გარეთ გაგზავნამ; 3) საანგარიშო წელი შესანიშნავია იმითაც, რომ წინა წლებთან შედარებით ერთობ ცოტა რიცხვი წევრთა შეუძენია ამხანაგობას, 4) განსაკუთრებითი ყურადღება სარევიზიო კომისიისა მიიქცია საფეიქროს საქმემ, რომელშიაც დაბანდებულია ამხანაგობის ქონების ნახევარზედ მეტი (12,083 მ.—82 კ.). სასურველია კრებამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და საჭირო ღონისძიება იღონოს. 5) ყურადღების ღირსია ისიც, რომ ჯერ-ჯერობით ნასესხი ფული ბათუმის ბანკისაგან უჯდება ამხანაგობას ძლიერ ძვირათ, სახელდობ—15% 16%-მდე.

როგორც სარევიზიო კომისიის მოხსენებამ, ისე მმართველის მიერ შედგენილ ანგარიშმა ძლიერ დიდი კამათი გამოიწვია.

მგვ. ქუთათელაძე. როგორც სარევიზიო კომისიის მოხსენება, ისე ამხანაგობის მმართველის ანგარიში სიბნელითაა მოცული და საჭირო იყო, რომ როგორც პირველს, ისე მეორეს უფრო ვრცელი ანგარიში შეედგინა ამხანაგობის საქმის წარმოების შესახებ. მაგალითად, ვთხოვ სარევიზიო კომისიას აგვიხსნას, რამდენი ფუთი ნედლი პარკი იყო ნაყიდი, ან რამდენი ხმელი გამოვიდა და რამდენი ფუთი ხმელი პარკი იყო გაგზავნილი საზღვარ-გარეთ? რა ფასად იყო ფუთი პარკი გაყიდული აქ და რა ფასს იძლეოდნენ აქ ჩვენებური ვაჭრები (სომხები)?

ამის შესახებ სარევიზიო კომისიამ მოახსენა კრებას, რომ თუმცა პარკის აწონვასა და გაგზავნას არ დავსწრებივართ, მაგრამ ამ დავთრებიდან სჩანს, რომ სულ ნაყიდი იყო ნედლად 3800 ფუთამდე, რომლიდგანაც გამოვიდა სულ 1050-მდე ხმელი პარკი; აქაურმა ვაჭრებმა არუნიანცმა და სხვ. აგვისტოში გვაძლიეს 53 მანეთი, მაგრამ მაშინ გვეგონა, რომ უფრო ძვირად გავყიდდით და ბოლოს პარკებიც გაიეფდა. ასე რომ იძულებულნი ვიყავით ჩვენი მოსავალი საზღვარ-გარეთ წაგვეღო გასასყიდად.

ანგარიშის დამტკიცების შესახებ დიდი კამათი ასტყდა. ინტელიგენტ წევრთა უმეტესმა ნაწილმა განაცხადა, რომ წლიური ანგარიში ძლიერ ბუნდოვანად არის შედგენილი. ხალხში არეულობა შეიქმნა, ზოგი გაიძახის კარგია და დავამტკიცოთო, ზოგი—გლახად არის შედგენილიო და სხვა.

—ძე—ი.

(დასასრული იქნება)

## წერილი არგვეთიდან.

(შორაპნის მაზრა)

აქაური სოფლების მცხოვრებნი, გურია-სამეგრელოსა და ქვემო იმერეთთან შედარებით, ძალიან ნაკლებად მისდევენ აბრეშუმის მოყვანას. აბრეშუმის ჰია არგვეთში ბევრად უკეთ იხეირებს, ვიდრე ქვემო იმერეთში, იმიტომ რომ აქეთ მაისის უკანასკნელ რიცხვებში, როდესაც აბრეშუმის ჰია პარკების კეთებას უნდა შეუდგეს, ისეთი დიდი სიცხეები არ იცის, როგორც ქვემო იმერეთში. აგერ თითქმის ათი წელიწადი გადის, რაც შემთხვევა მაქვს, არგვეთის ერთს სოფელში ვიცხოვრო და აქაურ ცხოვრებას თვალყური ვადევნო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მინახავს, რომ ვისმეს აქეთ აბრეშუმის თესლი მოეტანოს ხალხში დასარიგებლად. მხოლოდ წელს-კი დიდმარხვის დაწყებიდგანვე ყოველ პარასკეობით ჰნახავდით დაბა ჩხარში ქვემო იმერეთიდგან მოსულ ჩარჩს, რომელიც თესლსურიგებდა ხალხს, რასაკვირველია, მისთვისვე სასარგებლო პირობებით. ბ-ნი ანჯაფარიძეც იყო აქ, რომელიც თითო კოლოფ თესლს ცამეტ აბაზ ნაკლებ არა ჰყიდდა. აღდგომის წინა კვირაში ვიღაც ხონელი გორდულაძე პირდა-პირ სოფლებში დადიოდა თესლის დასარიგებლად, მაგრამ სიარულის დროს ჰია გამოსულიყო და ხალხს პირდაპირ ჰიას ურიგებდა კოლოფე'ით. ვისაც არ მიჰქონდა, იმათ ეუბნებოდა: „ცოდვა არ არის, კაცმა ეხლა ეს ჰიები შიმშილით დახოცოსო; გირჩევთ წაიღოთ და მე მეოთხედს დაგჯერდებით, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ თქვენი ნაწილიც მე უნდა მომყიდოთო“.

ასე და ამ გვარად, არგვეთში წელს იშვიათად ჰნახავთ მოსახლეს, რომ აბრეშუმის ჰია არა ჰყავდეს; მხოლოდ სამწუხარო ის იქნება, სხვა-და-სხვა კაცისაგან დარიგებულმა სხვა-და-სხვა ნაირმა თესლმა სასურველი ნაყოფი რომ არ გამოიღოს. მაშინ არგვეთის სოფლების მცხოვრებნი, ისედაც მეურნეობის ამ დარგის არა მიმდევარნი, მთლად გულს აიცრუებენ აბრეშუმის ჰიის მოვლა-მოყვანაზედ.

მ. ბუაჩიძე

# რუსეთი

როგორც „Петер. Вѣд.“-ი სწერს, სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყველა სასულიერო სემინარიაში შემოიღონ მუსიკის კურსები. ეს კურსები მოსწავლეთათვის სავალდებულო იქნება.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ აზრადა აქვთ მოსკოვში საელექტრო-ტეხნიკო ინსტიტუტი დააარსონ. ამ საგანს, როგორც იგივე გაზეთი იუწყება, საერო განათლების სამინისტრო საბოლოოდ გადასწყვეტს ამ სამოსწავლო წლის გასულს. უკვე შემუშავებულის პროექტით სწავლის ვადა ინსტიტუტში ოთხი წელიწადი იქნება.

ბი შესამჩნევად განირჩევიან დედრობითის სქესის წარმომადგენელთაგან: უფრო მძლავრნი და მამაცნი არიან, ზოგიერთი მათგანი ბუნებას საბრძოლველ იარაღით დაუჯილდოვებია, მაგალითად, რქები აქვს, დეზები, ეშვები და სხვა. ამ იარაღით თუმცა დედლებიც არიან შეიარაღებულნი, მაგრამ გაცილებით უფრო სუსტად აქვთ განვითარებული იგი. მამლები —პირუტყვნი—იბრძვიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დედლის გულისთვის, როდესაც ლომები იბრძვიან ძუ-ლომისთვის, ძუ-ლომი სიამოვნებით უმზერს იმათ სისხლის ღვრას, გამარჯვებულს კი მოწიწებით ულოკავს იარებს. მტრედებიც-კი, რომლებმაც სამუდამოდ იციან შეუღლება, მიატოვებენ ხოლმე თავიანთ მამლებსაც, თუ იმაზედ უკეთესი მამალი დაინახეს.

როდესაც სამხრეთ-ქვეყნებიდგან ფრინველები ჰბრუნდებიან, ჯერ მამლები მოფრინდებიან ხოლმე და მუდამ ბრძოლა აქვთ ყოველ ახალ მოფრენილ დედლის გამო.

თვით მცენარეთა შორისაც-კი, რომელთა ყვავილები ორ სქესად განიყოფება, მამრობითის სქესის ყვავილები უფრო ადრე იშლება.

ეხლა რომ ველურ ხალხთა ცხოვრებაც გავსინჯოთ, დავრწმუნდებით, რომ მათ შორისაც მუდმივი ბრძოლაა დედაკაცის მოპოვებისათვის. საუკეთესო დედაკაცი იმისია, ვინც უფრო მძლავრია და გულადი. ამიტომ მამაკაცები სცდილობენ სხეულის ვარჯიშობით და მუდმივ ჯიბრით ერთმანეთს გადააჭარბონ მხნეობითა და აჯობონ მაგარის აგებულებით. ამ გვარად შთამომავლობა თან და თან განკარგებაში შედის და ბოლოს მთელი ტომი ძლიერდება.

სქესურ მისწრაფებისა და შვილების აღზრდის ზრუნვის გარდა, არის კიდევ სხვა გრძნობაც, რომელიც აკავშირებს სხვა-და-სხვა სქესის წარმომადგენელთ; ყველა სულიერნი არსებანი დაჯილდოვებულნი არიან ბუნებისგან შესაფერის სილამაზით, რომელიც სქესურ გრძნობაზედ ჰხოქმედებს. სხვა-და-სხვა არსებათ სხვა და სხვა გვარი მოსაწონებელი საშუალება აქვთ: ფრინველთ, მაგალითათ, სასიამოვნო ხმა-გალობა და ფერადი ფრთები აქვთ. რადგან მამლებს პირველი მომქმედი ადგილი უჭირავთ და იმათ უნდა მოსძებნონ დედალი, ამიტომ ფრინველთა მამლებიც უფრო უხვად არიან დაჯილდოვებულნი საამო ხმით და ფერადის ფრთებით, მამლები—ფრინველნი უფრო ტკბილად და გრძნობით ჰგალობენ, დედლები-კი ხშირად მოკლებულნი არიან ამ თვისებას. ფრინველთა გალობა გამომხატველია სიხარულისა, ტრფობისა, შიშისა და სხვა გრძნობისა. დედალი—ქათამი დასდებს თუ არა კვერცხს, ჰკაკანებს და ამითი სიხარულს გამოსთქვამს, ბულბული უსტვენს მომხიბლავად და სცდილობს თავისის ტკბილის სიმღერით გადააჭარბოს და აჯობოს სხვებს, რომ ამითი თავისის სატრფოს გული მოიგოს. როდესაც მამალი—ინდოური აიფხორება და ფრთებ გაშლილი უვლის გარშემო დედალს, ამითი თავს აწონებს.

ფარშავანგის საუცხოვოდ დახატული ფრთები სქესურის გრძნობის ძალის შერჩევით უნდა ავხსნათ.

თვით ბაყაყები, თუმცა ცივი სისხლი აქვთ, მხურვალე მოტრფიალენი არიან თავიანთ დედლებისა; დადგება თუ არა გაზაფხული—დრო სქესურის გრძნობის გაძლიერებისა, ბაყაყები იწყებენ სიყვარულის გალობას, რომელსაც თუმცა ჩვენ ყიყინს ვეძახით, დედალ ბაყაყის გულს-კი ჰხიბლავს თავისის სიმშვენიერით.

მამალი მაყაყიც უფრო ფეროვანია, ვიდრე დედალი.

არის ერთგვარი შავი კოდალა, რომელიც მთელის საათობით გამხმარ ხეს უკაკუნებს თავისს ნისკარტს, რომ ამითი დედალს ასიამოვნოს და თავი მოაწონოს. ყვინჩილაც-კი სცეკვავს დედლის წინ, რომ თავი მოაწონოს. ფრინველნი გაეჯიბრებიან ხოლმე ერთმანეთს ცეკვასა და გალობაში, რომ დედლებს თავი მოაწონონ.

ვესტერმარკის სიტყვით, კაცობრიობა პირველ-დასაწყისს ერთგვარი უნდა ყოფილიყო, თუმცა ზოგიერთნი ამგვარ აზრს არ ეთანხმებიან. შემდეგ-კი, როდესაც კაცობრიობა გამრავლდა და დაიწყო გარდასახლება სხვა-და-სხვა ადგილას, ყოველს მათგანს იმ ბუნების გავლენა, რომელშიაც იგი დასახლდა, თანდათან ბუნების შერჩევის კანონის ძალით მიემატა ახალი ნიშნები და თვისებანი. ამგვარად წარმოსდგნენ სხვა-და-სხვა ტომნი; ყოველ მათგანს თავისი სილამაზე აქვს, ევროპიელს ზანგის და ჩინელის სილამაზე არ ესმის, ჩინელსა და ზანგს-კი—ევროპიელისა. ერთი ქრისტიანი ზანგი უმტკიცებდა ევროპიელს, რომ ქრისტე შავი უნდა ყოფილიყო, რადგან ძე ღვთისა სახითაც მშვენიერი რამ უნდა ყოფილიყო.

მაშასადამე მამა-კაცისა და დედაკაცის შეუღლება საზოგადო ბუნებრივი მოვლენაა და ხანგრძლივობა ამ კავშირისა უმთავრესად უნდა აიხსნას შვილების აღზრდისა და გამოკვების ზრუნვით. როგორც მეცნიერებაში ისე საზოგადო ლიტერატურაშიაც, შეუღლების მნიშვნელობის შესახებ სხვა-და-სხვა აზრისანი არიან; ზოგიერთი მწერლები (Nordau, Brandes და Stundberg-ი) იმ აზრისანი არიან, რომ ადამიანი სქესურის სიტკბოების დაკმაყოფილებისთვის არის გაჩენილიო, ყოველს ადამიანს აქვს სრული უფლება სქესური მისწრაფება აისრულოს. მონტეგაცცა ამასაც-კი ამბობს: amate, ma non generate. სჩანს, რომ ამ მწერალთა აზრით შვილების გაჩენა და აღზრდა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ამისათვის ლაპარაკიც არა ღირს; მონტეგაცცა „non generate“-საც-კი გვიქადაგებს. ზოგნი-კი (მაგალითად, გრაფი ტოლსტოი) ამბობენ, რომ მამაკაცისა და დედაკაცის კავშირს უფრო სულიერ-ზნეობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ფიზიოლოგიური. მეცნიერთა და მწერალთა უმრავლესობა-კი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ მამაკაცთა და დედაკაცთა შორის საფუძველი შვილების გაჩენა და აღზრდაა. თვით ღმერთმა, როგორც ძველი აღთქმა მოგვითხრობს, ადამი და ევა როცა დაჰლოცა, უთხრა: „გამრავლდითო“...

ექიმი ბადრიძე

— როგორც საერო განათლების სამინისტროს მიერ შეკრებილის ცნობებიდგანა სჩანს, ამ ბოლოს დროს უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლებში შემსვლელთა რიცხვი წლითი-წლობით უფრო მრავლდება. აზრადა აქვთ გააადვილონ სატეხნიკო სასწავლებლებში შესვლა.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის უფროსი კაპუსტინი თანამდებობას თავს ანებებს.

— ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა ნორმალური დებულება ქარხნებსა და ზავოდებთან შემნახველ კასსების დასაარსებლად.

— აზრადა აქვთ ახლად შემოერთებულ ქალაქს პორტ-არტურში დედათა პროგიმნაზია და სასულიერო სასწავლებელი დააარსონ.

# უცხოეთი

საფრანგეთი. კლემანსო ამტკიცებს თავისს გაზეთ „Aurore"-ში, რომ საკასაციო სასამართლოს რამდენიმე საბუთის ქაღალდი აკლია დრეიფუსის საქმის შესახებო, და ურჩევს ხსენებულ სასამართლოს უფროს თავმჯდომარეს ბ-ნ მაზოს, ყოველივე ღონისძიება იხმაროს და ეს ქაღალდები როგორმე იპოვნოს. ამასთანავე კლემანსოს ჩამოთვლილი აქვს, თუ რა და რა ქაღალდებია გაბნეული ანუ დამალული:

1) კაპიტანის ლებრენ-რენოს მოხსენება მაშინდელ სამხედრო მინისტრ ზილიოსადმი; 2) პოლიციის პრეფექტურის მოხსენებანი დრეიფუსის სასარგებლოდ 1894 წელს; 3) საიდუმლო გამამტყუნებელი ოქმი, პატი დე-კლამის მიერ შედგენილ მოსამართლეების დასარწმუნებლად სათათბიროთახში; 4) მოხსენება საიდუმლო დოსიეს შესახებ, გენერალ გონზისა და გენერალ ბილიოს სამის კაპიტანის მიერ შედგენილი; და 5) ერთი საბუთის ქაღალდი, რომელიც დრეიფუსის უდანაშაულობის სასარგებლოდ ლაპარაკობს და რომელიც გვიანიდგან უკანვე დააბრუნეს, სადაც იგი შემთხვევით იყო გაგზავნილი სხვა ქაღალდებთან ერთად, რომელნიც დრეიფუსს შეეხებოდნენ. ხსენებულის ქაღალდის არსებობა გამოაცხადა ამას წინად გაბემ, სასახლეშენო საქმეების მთავარ საბჭოს წევრმაო, ამბობს კლემანსო.

ოსმალეთი. წინად ჰქონდათ აზრად, რომ შვიდი ვილაიეტის შემოსავალს, რომელიც ოტომანის ბანკის კონტროლ ქვეშ იმყოფება, რუსეთის სამხედრო საზღაური უნდა დაკმაყოფილებინა და შემდეგ ეს შემოსავალი ოსმალეთის საფინანსო უწყების ხელში გადასულიყო. მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, რუსეთს და ოსმალეთს სხვა პირობები დაუდვიათ ერთმანეთ შორის ხსენებულის საზღაურის გასტუმრების შესახებ. ახალის ხელშეკრულობით, ვილაიეტების შემოსავლიდგან ჯერ პირველად ადგილობრივი საჭიროებანი უნდა დაკმაყოფილდეს და ადგილობრივ ჯარებს ჯამაგირი მიეცეს, ხოლო რაც დარჩება, ის სავსებით უნდა გარდაეცეს ოტომანის ბანკს. ეს უკანასკნელი კისრულობს ამ ფულით რუსეთს ანგარიში გაუსწოროს და დანარჩენი ისევ პორტას დაუბრუნოს. ამ საქმის რიგისამებრ შესასრულებლად ახალს ხელშეკრულობაში დაწვრილებით არის მოყვანილი თითოეული ვილაიეტის შემოსავალ-გასავალი. ამ ხარჯთ-აღრიცხვაში რაიმე ცვლილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთიმეორის თანხმობით. ოტომანის ბანკი შეუდგება ხსენებულ შვიდი ვილაიეტის შემოსავლის გამგეობას 1 მაისიდგან. ახალი ხელშეკრულობა ძალაში დარჩება, სანამ სამხედრო საზღაურს სავსებით არ გარდაიხდის ოსმალეთი.

— ოსმალეთის მთავრობის მიერ მიღებულმა სასტიკმა ღონისძიებამ ახალ პოლიტიკურ დასის წინააღმდეგ, ხონთქრად ნამყოფ მურად V-ის მდგომარეობაზედაც-კი იქონია თავისი გავლენა. მურად V ბიძას ესლანდელის ხონთქრის აბდულ-ჰამიდისა და დიდი ხანია, რაც საპყრობილეში იტანჯება. მალზედ მოხუცებულს და ღონე გამოლეულს მურადს, მთავრობის განკარგულებით, ვერ ეხვევნებიან მისი შვილები. აბდულ-ჰამიდმა ნება დართო მურადთან ყოფილიყო ორი მისი ქალიშვილი, რომელნიც შუა ხნის ქალები გახდნენ, მაგრამ გათხოვებაზედ სრულებითაც არ ჰფიქრობდნენ, არამედ ტანჯულ მამის სამსახურში ატარებდნენ დროს. ეხლა ამ ქალებზედაც მიუტანია ხონთქარს აბდულ ჰამიდს ეჭვი, ვითომც ისინიც მისი მოწინააღმდეგე დასის წევრები იყვნენ და მალდატანებით მამათვის მოუშორებია და თავისის კარის კაცებისათვის შეურთავს ცოლად.

—

სერბია. ამას წინად ბელგრადში კრება გამართეს სერბიის ახალგაზრდებმა. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. კრებამ თანაგრძნობა გამოუცხადა ოსმალეთის სერბებს, რომელნიც დევნილნი და ტანჯულნი არიან ალბანელებისაგან, და გაჰკიცხა სერბიის მთავრობა ნაკლების ყურადღებისათვის ოსმალეთში მცხოვრებ თანამოძმეებისადმი. კრებას დაესწრნენ უმაღლეს სასწავლებლის თითქმის ყველა სტუდენტნი—რომელთაც ამისათვის სასჯელი მიაყენა მთავრობამ: ორი მათგანი ერთის წლით იქმნა დათხოვნილი სასწავლებლიდგან, ოთხი—ნახევარის წლით, 13 კაცს მიუსაჯეს ორი კვირით დაპატიმრება და სამას კაცს შენიშვნა გამოეცხადა.

# დამაკვირდი

რა ქნა, სიმართლისა თქმა ნაღველსაცა უმწარია.

რუსთაველი

* * *

ცოდვასა ნებავს ჟამსა სიჭაბუკისასა ცოდვა და ჟამსა სიბერისასა სინანული.

სულხან საბა

* * *

წელიწადთა თანა ასაკისა შენისათა თვალენ საქმენიცა კეთილნი, რომელნი გიქმნიეს ჟამსა შინა ცხოვრებისა შენისასა.

ლასურიძე

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟში უკვე შეუდგნენ 1900 წლის მსოფლიო გამოფენისათვის ერთის უზარმაზარის მინის (შუშის) სასახლის აგებას. პროექტი ამ სასახლისა უკვე შეუდგენია ვიღაც პონზენს. როგორც ამ პროექტიდგანა სჩანს, სასახლე მართლაც რომ შესანიშნავი რამ იქმნება. სასახლეს ააგებენ ეიფელის კოშკის მახლობლად, ამ კოშკისა და სამხედრო სკოლის შუა. სიმაღლე სასახლეს 15 საჟენი ექმნება. სასახლის წინ ტბა იქმნება გამართული. მრავალი შადრევნები ამ სასახლის გვერდებიდგან და თავიდგან ტბაში გადაეშვება. გუმბათი სასახლის თავზედ 16 სვეტზედ იქმნება დაყრდნობილი. გუმბათს დაამშვენებს ელექტრიონის ძეგლი, რომელსაც ხელში ფარანი ეპყრება. სასახლის დარბაზის კედლები მშვენიერის სურათებით იქმნება მორთული. ერთის დარბაზის კედლებზედ დედამიწის რუკა იქმნება დახატული. ამ შენობის აგების დროს მასალად მხოლოდ მინას იხმარებენ. ყველაფერი: კედლები, ჭერი, იატაკი, სვეტები, ძეგლები, დივნები და სხვა მინისაგან იქმნება მომზადებული. ხალიჩებსა და ფარდებს გააკეთებენ ბროლის ნაჭრეებისაგან. ეს ნაჭრები სხვა-და-სხვა ფერისა და ზომისა იქმნება. ასეთ არა ჩვეულებრივ ხალიჩებს ამზადებენ ვენეციაში. ერთის სიტყვით, ეს სასახლე, როგორც გაზეთები ამბობენ, საუცხოვო რამ იქმნება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ელექტრონით გაანათებენ.

* * *

ვენგრიის ქალაქ ბუდაპეშტში პოლიციას აღმოუჩენია ერთი საიდუმლო დაწესებულება, სახელდობრ უნივერსიტეტი. საყურადღებო და საინტერესო ის არის, რომ ამ საიდუმლო უნივერსიტეტში ასწავლიდნენ.... ქურდობას. ეს უცნაური „უნივერსიტეტი" მშვენივრად ყოფილა თურმე მოწყობილი. იმის საქმეებს განაგებდა მთელი დასი ავაზაკებისა, რომელიც განსაკუთრებულის ინსტრუქციით ხელმძღვანელობდა. ამას გარდა „უნივერსიტეტს" თავისი დირექტორიცა ჰყავნდა. „ლექციებს" ამ „უნივერსიტეტში" რაღაც საიდუმლო, სხვათათვის გაუგებარს, ენაზედ კითხულობდნენ. პოლიციას ჯერ-ჯერობით ათი კაცი დაუპატიმრებია. მათ შორის რამდენიმე ინტელიგენტია თურმე.

* * *

როგორც გაზეთები იუწყებიან, ტელეფონი ჯერ ისევ წარსულ, მე-18, საუკუნოში გამოუგონიათ. 1799 წელს პარიჟის ქალაქის გამგეობაში მისულა ვიღაც ყორე ნეგრი და გამოუცხადებია, რომ ერთი მანქანა მოვიგონე, რომლის შემწეობითაც დიდს მანძილზედ შეიძლება დალაპარაკებაო. ნეგრი გიჟათ მიუღიათ და სულით ავადმყოფთა სამკურნალოში გაუგზავნიათ, მაგრამ მალე ისევ გაუნთავისუფლებიათ. ყველგან, სადაც-კი ნეგრს გამოუცხადებია, ასეთი მანქანა მოვიგონეო, სასაცილოდ აუგდიათ იგი. საზოგადოთ, მაშინ ვერ წარმოედგინათ, თუ დიდს მანძილზედ დალაპარაკება შესაძლებელია. ბევრს ჯადოქარადაც-კი დაუსახავს ნეგრი. ამისდა მიუხედავად ნეგრის მეგობრებს მაინც მოუწადინიათ მანქანის გამოცდა და იმის გაგება, მართლა შეიძლება დიდს მანძილზედ დალაპარაკება თუ არა; მაგრამ რადგანაც თვით ნეგრი ამ გამოცდას არ დასწრებია, უნაყოფოდ ჩაუვლია და ვერაფერი გაუგიათ. ისტორია არაფერს იუწყება იმის შესახებ, თუ შემდეგ რა მოუვიდა ნეგრის და რა უყო თავისს მანქანას.

* * *

ქ. ვენაში ამას წინად სასამართლომ გაარჩია საქმე ერთის ახალგაზრდა, თვრამეტის წლის ქვრივის—ჟოზეფინა სტრიგალფისა, რომელიც რკინის გზის გამგეობას უჩიოდა, ამ გამგეობის უყურადღებობის წყალობით ქმარი დამეღუპაო. საქმე ასე მომხდარა. ახალგაზრდებს, ჟოზეფინა სტრიგალფს და იმის ქმარს, დილით ჯვარი დაუწერიათ და და მაშინვე მოგზაურობას შესდგომიან: რკინის გზით ლემბერგიდგან ჩერნოვიცში წასულან, მაგრამ იმავე დღეს გზაზედ ხიდი ჩატეხილა, მატარებელი და ვაგონები წყალში გადაცვივნილა და ახალგაზრდა ქალის ქმარი სხვებთან ერთად დაღუპილა. თვით სტრიგალფი რაღაც სასწაულით გადარჩენილა. ნათესავებისა და ნაცნობების რჩევით ახალგაზრდა ქვრივს რკინის გზისათვის დავა აუტეხნია. სასამართლომ, განიხილა რა ეს საქმე, დააკისრა რკინის გზას გარდაიხადოს ქვრივის სასარგებლოდ ერთხანად 10,000 გულდენი (გულდენი—64 კაპეიკია) და ყოველ თვიურად 100 გულდენი. ყოველთვიური პენსია ქვრივს გათხოვებამდე მიეცემა.

## ბ ნ ოდიშელის „მცირე შენიშვნის" გამო.

გაზეთ „ივერიის" მე-85 №-ში დაბეჭდილია ბ-ნ ოდიშელის „მცირე შენიშვნა" „სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს" შესახებ. ვისაც აინტერესებდა, ან კიდევ აინტერესებს დღესაც ამ სამკითხველოს ბედ იღბალი, იმათ წაკითხულიც აქვთ და დღესაც შეუძლიან წაიკითხოს საკმაოდ ბევრი დაბეჭდილი წერილები, თუ ეს საქმეს რაიმეს უშველის. ამიტომ აქ ვრცელის ისტორიით მკითხველს თავს აღარ ვაბეზრებ. მხოლოდ რაც შეეხება წიგნთ-საცავის ნივთებსა და წიგნებს, რაც არის ჩემთან, კარგად ვიცი, რომ საზოგადო კუთვნილებას შეადგენს და არა კერძო ვინმესას, და დაარსდება თუ არა საზოგადო სახალხო წიგნთ-საცავი, იმავე წამში დიდის სიამოვნებით და სიხარულით გადავსცემ, მანამდის-კი ნება არა მაქვს კერძო კაცს გადავსცე ვისმე, რადგან ის „სახალხო" კუთვნილებად მიმაჩნია.

აქვე უნდა აღვიარო, რომ როცა ახალსენაკში კლუბი არსდებოდა, ორმა-სამმა საპატიო კაცმა მთხოვა გადამეცა კლუბისათვის ეს ნივთები, მაგრამ მე ვერ გავბედე კლუბისათვის გადამეცა „სახალხო სამკითხველო"-ს კუთვნილებანი, იმ მოსაზრებით, რომ „კლუბსა" და „ხალხს" შორის ჯერ კიდევ დიდი მანძილია... შეიძლება კიდეც იწყინეს ჩემგან ეს, მაგრამ რაც შეუძლებლად მიმაჩნდა, ვერ აღვასრულე. კლუბისთვის რომ გადამეცა, ახლა მაინც დამწვარი იქნებოდა კლუბთან ერთად. რაც შეეხება იმას, რომ გაზეთით საზოგადოებას არ ვაუწყე სამკითხველოს ავეჯეულობის რაოდენობა, ეს საჭიროდ არ მიმაჩნდა, რადგან იმ კომიტეტის წევრებს, რომელთაც მე ჩამაბარეს, ყველა აღნუსხული და ჩემი ხელ-მოწერილი ჰქონდათ. ამის შემდეგ დავბრუნდები თუ არა ახალ-სენაკში, ამ თხოვნასაც შევუსრულებ ბ-ნ ოდიშელს.

ერთი რამ უნდა შევნიშნო ბ-ნ ოდიშელს: „თავის შენიშვნის" ერთს ბწკარში ჰბრძანებს: „ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, თუ ამ ორში ვინ მართალი იყო,—ეს მთელმა ახალსენაკის საზოგადოებამაც უკეთ იცის"-ო... საკვირველია, რატომ ვერა ჰბედავს ბ-ნი ოდიშელი იმის თქმას, რაც მთელმა ქალაქმა და მაზრამ უკეთ იცის?!.

ან კიდევ რატომ არა ჰსურს ბ-ნ ოდიშელს იგიც სთქვას, რომ ის მაგიდა თავისის სამის სკამით, შკაფითა და შოთას სურათით დღესაც იმავე დანიშნულებას ასრულებს, რომელსაც პირველს წელში ასრულებდა?!.

კ. თავართქილაძე

## წერილი რედაქციის მიმართ.

სოფ. აცანის უფასო სამკითხველოს შემოსწირეს:

ანეტა ჩხიკვიშვილის ასულმა წიგნები, ღირებული 1 მ., სიმ. გოლოვინმა 1 მ., აქაურ ორ-კლასიან სკოლის ზედამხედ. კ. ბახტაძემ, გარდა დიდის შრომის და ღვაწლისა სამკითხველოს დაარსებისათვის და საწევრო ფულისა, შემოსწირა 3 მანეთიანი ლამპარი, ბესარ. წულაძემ მინები სურათებისთვის 1 მ. 20 კ. ღირებული, სიმ. ურატაძემ 2 მანეთის და 25 კ. წიგნები, ბებ. ჩხაიძემ 9 მან. 60 კ. წიგნები, ყველას დიდს მადლობას ვუძღვნით.

სამკითხველოს გამგე გრ. ურატაძე

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 აპრილი

პარიჟი. „ჰავასის სააგენტო" იუწყება, ფრეისინემ გამოუცხადა დიუპუის, რომ იმ ამბის შემდეგ, რაც პარლამენტის გუშინდელს კრებაზედ მოხდა იძულებული ვარ სამსახურს თავი გავანებოო. დიუპუიმ სთხოვა ფრეისინეს, სამსახურს თავს ნუ გაანებებო. ფრეისინემ მაინც წერილით აცნობა, რომ თუმცა ვწუხვარ, მაგრამ მაინც უნდა გავანებო სამსახურს თავი, რადგანაც წარსულმა კრებამ დიდი გავლენა იქონია ჩემზედაო.

სამუშაოთა მინისტრი კრანცი დანიშნულ იქმნა სამხედრო მინისტრად, ხოლო სენატორი მანესტიე—სამუშაოთა მინისტრად.

მადრიდი. რადგანაც აგვინალდომ ესპანელებთან ტყვეების შესახებ მოლაპარაკებაზედ უარი განაცხადა, მთავრობამ მიჰმართა საფრანგეთს და სთხოვა, მიანდეთ კამბონს მოლაპარაკება დაიწყოს ტყვეების განთავისუფლების შესახებაო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, რომ მთავრობას აზრადა აქვს შემდეგაც ყოველი ღონე იღონოს ინგლისის ვაჭრობის გასაძლიერებლად რუსეთშიო.

26 აპრილი

მოსკოვი. ცნობილის მილიონერის ფირსანოვის ცოლმა, განიძრახა რა თავისი ქმრის მოკვლა, სამჯერ ესროლა რევოლვერი. ერთი ტყვია ფერდში მოარტყა, და ორი გულში. დაჭრილს ორი ტყვია ამოუღეს, მესამე კი რომელიც ფერდში მოხვდა ვერ იპოვნეს. ფირსანოვისა დაიმალა.

# განცხადებანი


საქციონერო საზოგადოება

„არტურ კოშელ"

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი № 1.

განყოფილებანი: მოსკოვსა, ვარშავასა, ოდესასა, ვლადივოსტოკსა და გელსინგფორსში.

მისავალი გზები
მინდვრის რკინის გზები
ელექტრონის რკინის გზები

მინდვრის რკინის გზები
ელექტრონის რკინის გზები
მისავალი რკინის გზები

„АРТУРЪ КОШЕЛЬ"

(1—1)




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე